საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2022 წლის 9 ივნისს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის (გადასახადისაგან გათავისუფლება) მე-2 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020579

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2022 წლის 9 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1] მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა მარტოხელა მშობლის სტატუსი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 040000000.05.001.020580

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.
კანონის პირველი მუხლი ამოქმედდა 2022 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ

2022 წლის 1 ივნისს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ სასწავლო გეგმას“ დაემატა X[3] თავი, რომლითაც განისაზღვრა 2021-2022 სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე, 38-ე და 43-ე მუხლებით დადგენილი რეგულაციებისგან განსხვავებული პირობები.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018170

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №487

2022 წლის 2 ივნისს საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლს (უძრავი ნივთის დაყოფა და გაერთიანება) დაემატა მე-4 და მე-5 პუნქტები და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.22.027.017322

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/249

2022 წლის 9 ივნისს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 14[1] მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების" მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დებულება".

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.024.016746

ბრძანება ამოქმედდა 11 ივნისიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-6

2022 წლის 10 ივნისს „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებულ „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესში" შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მეოთხე კატეგორიის საწარმო სუბიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, დამატებით, უთითებს სუბიექტის ანგარიშგების დაინტერესებული პირისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს, პირად ნომერსა და მობილური ტელეფონის ნომერს, ასევე, თანხმობის შემთხვევაში, მონიშნავს მის მიერ

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

წარდგენილი ინფორმაციის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და/ან სსიპ „აწარმოე საქართველოში“-სთვის გადაცემის ღილაკს“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 350080000.64.076.016110

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2022 წლის 13 ივნისს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციის 41-ე მუხლის (მოგების გადასახადის დეკლარაციის (დანართი №II-09) მე-8 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017594

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2022 წლის 13 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილება და 40^{1} მუხლის (მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-08^{6})) მე-5 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017593

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ამავე ბრანებაში 2022 წლის 21 ივნისს გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით ინსტრუქციის მე-11 მუხლი (ელექტრონული რეგისტრაცია) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017597

ბრძანება ამოქმედდა 1 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №994

2022 წლის 21 ივნისს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით 38^1 მუხლის (დროებით ამოუღებადი დავალიანება) პირველი - მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017598

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

29 ივნისს ამავე ბრძანებაში - „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით 22-ე მუხლის (სსა-ების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი) მე-5 პუნქტი და 23^6 მუხლის მე-5 პუნქტი და 23^6 მუხლი (SAM მოდულის აქტივაციისათვის საჭირო მონაცემების მქონე სსა-ის და

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ტექნიკური საშუალების გამოყენებისწესების დაცვის კონტროლი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017599

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №74/ნ

2022 წლის 16 ივნისს „სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №131 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულება.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 440050000.22.022.018182

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-36/ნ

2022 წლის 27 ივნისს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემედებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის, საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით ბრძანებით დამტკიცებული დანართები (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა); (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისა და წარდგენის წესი); (საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმა); (სააღსრულებო ფურცლის ფორმა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016981

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2022 წლის 29 ივნისს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. („საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3); „რეექსპორტის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №16).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017600

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №70/04

2022 წლის 29 ივნისს საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის №70/04 ბრძანებით დამტკიცდა საინვესტიციო ფონდებისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების თანდართული წესი.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016626

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №136

2022 წლის 8 ივნისს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პირდაპირი წესი, ლიცენზიის მოქმედების ვადა, სალიცენზიო პირობები, ლიცენზიაში ცვლილებების შეტანა, ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველი).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 380050000.10.003.023496

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №280

2022 წლის 7 ივნისს საქართველოს მთავრობის №280 დადგენილებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის სახეების, შესაბამისი საფასურების განაკვეთების, საფასურების გადახდის, მათი გადახდისაგან გათავისუფლებისა და გადახდილი საფასურების დაბრუნების წესი.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.10.003.023492

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 11 ივნისიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №300

2022 წლის 8 ივნისს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესი“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040110030.10.003.023512

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №255

2022 წლის 8 ივნისს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის (უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოები და ინტერესთა კონფლიქტი) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300310000.10.003.023501

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 11 ივნისიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №289

2022 წლის 8 ივნისს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №289 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ლიფტი წარმოადგენს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს და მის ზედამხედველობას, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად, ახორციელებს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედელობის სააგენტო. ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300160070.10.003.023508

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 14 ივნისს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცდა შემდეგი: „უცხოეთიდან ჩამოსული ნებისმიერი პირი (მოქალაქეობის მიუხედავად) ნებისმიერი ქვეყნიდან გამომგზავრებისას საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის კვეთისას თავისუფლდება კოვიდვაქცინის სრული კურსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის საზღვარზე წარდგენისა და თვითიზოლაციის ვალდებულებისგან.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023529

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 15 ივნისიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №368

2022 წლის 17 ივნისს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ამოღებულ იქნა რამდენიმე მუხლი: (მე-3 მუხლის: ა) პირველი პუნქტის: ა.ა) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი; ა.ბ) „ბ“; ბ) მე-2 პუნქტი; მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023534

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 20 ივნისიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №339

2022 წლის 27 ივნისს საქართველოს საზღვაო კოდექსის 741 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდა ბრძანებაზე თანდართული „საქართველოს ნავსადგურის შესასვლელი არხით სარგებლობის წესი“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 400010020.10.003.023550

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge